კავკასიის უნივერსიტეტი

სტუდენტური კონფერენცია - 2024 წლის 5 ივნისი


# „ტურისტული ადგილის განვითარება და მისი მარკეტინგული კამპანია“


თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

ჯგუფი - **„კაპიტელი 2024“** - მელანო რუსაშვილი - II კურსი,

ნინი ლაკლაკიშვილი - III კურსი

თიკო გორგაძე - III კურსი

მარიამ აფრასიძე - III კურსი

**ხელმძღვანელი -** მედეა აბულაძე - თ ს ს ა -ის პროფესორი,

არქიტექტურის დოქტორი



თბილისი - 2024



**აბსტრაქტი**

სტატია განიხილავს ტურიზმის აქტიური განვითარებისათვის იმერეთის რეგიონის უძველეს დასახლების, ე. წ. „ჩხარის ქვეყანას“. ეს სახელი ერქვა საკმაოდ მოზრდილ ტერიტორიაზე გაშლილ სოფლებს, რომლებიც დაკავშირებულები იყვნენ ქალაქ ჩხართან შვიდი მიმართულების გზებით, რომელთა შორის ერთი იყო „აბრეშუმის გზის“ იმერეთის მონაკვეთი: **ქუთაისი-სიმონეთი-ძევრი-ჩხარი-სკანდე-ჩიხორი-ქვაციხე-კორბოული და სხვა მიმდებარე სოფლები: ალი (ალისუბანი)-თუზი-საზანო** - ეს სოფლები მნიშვნელოვანი პუნქტები იყო და ქალაქი „ჩხარი“ წარმოადგენდა ცენტრს. მიგვაჩნია, რომ ყოფილი „ჩხარის ქვეყანა“ შეიძლება იქცეს სხვადასხვა მიმართულების ტურიზმის განვითარების საინტერესო ადგილად, როგორიცაა: ბუნებრივი ძეგლები, დაცული ტერიტორიები, კულტურული ტურიზმი, ისტორიული ძეგლები, რელიგიური ტურიზმი, საცხენოსნო ტურიზმი, სპელეოლოგია და ა. შ., ჩვენ განვიხილავთ შესაძლებლობას, აქ **„მეაბრეშუმეთა ტურიზმის“** განვითარებისათვის.

## „ჩხარის ქვეყანა“ - სოფლად ქცეული ქალაქი

## და მისი ტურისტული პოტენციალი

**ისტორიული მიმოხილვა** - ტერიტორია, რომლის ტურისტული პოტენციალის წარმოჩენა გვინდა, მდებარეობს იმერეთში, **თერჯოლის მუნიციპალიტეტში,** მას ადრე „ჩხარის ქვეყანას“ ეძახდნენ. (ფოტო 1)

ქუთაისი
ჭალასთავი
ნაბეღლავი
ბოროგანი
ზედა სიმონეთი
ქვედა სიმონეთი
ბარდუბანი
ჩხარი
ალი
ახალი თერჯოლა
ზედა ალისუბანი
ქვედა ალისუბანი
ზედა საზანო
ქვედა საზანო
ზედა ალიბანი
ზედა ალიბანი
ზედა ალიბანი

აბრეშუმის გზის იმერეთის რეგიონისა. ამ უძველესი მარშრუტის გზების ნაშთები დღესაც დარჩენილია ჩხარის ტერიტორიაზე. ის ფაქტი, რომ ქალაქ ჩხარზე გადიოდა „აბრეშუმის გზის“ მნიშვნელოვანი მონაკვეთი, ადასტურებს აქ გაცხოველებული ვაჭრობის და მეწარმეობის განვითარებულ ცენტრს. ჩხარი უძველესი დროიდანაა დასახლებული. ის განფენილია ოკრიბა-არგვეთის ქედის სამხრეთით, ოქონის მთის ფერდობზე. მისი ერთი მხარე იმერეთის დაბლობის ულამაზეს პანორამულ ხედებს გადაჰყუებს, მეორე ხედი კი „იმერულ ვარძიად“ წოდებულ მთაზეა. (ფოტო 2, 3, 4, 5)



ფოტო 2, 3, 4, 5) - იმერეთის დაბლობი, ს. კორბოული. (გ. ნიკოლავა). ძევრი, „იმერეთის ვარძია“

ჩხარის ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ, ბუნებრივი პირობების საუკეთესო თვისებებმა, იმერეთის სამეფოს დედაქალაქის ქუთაისის და გაენათის საეპისკოპოსოს სიახლოვემ, განსაზღვრა მისი მომავალი. იგი მეფეთა და

სამიტროპოლიტო მესვეურთათვის საზაფხულო რეზიდენციას წარმოადგენდა. (ფოტო 6) ჩხარის სასახლეებში ღებულობდნენ უცხოელ ელჩებს და მოგზაურებს.



ფოტო 6 - ტიმოთე გაბაშვილის 1737 წლის იმერეთის რუკა

ოქონის გორა და ჩხარი განუყოფელია ერთმანეთისაგან. ფაქტიურად ეს ორი ჩხარია - უძველესი, უკვე არქეოლოგების არეალი, სადაც არაერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი ექსპონატია აღმოჩენილი და დღევანდელი - სოფლად ქცეული ჩხარი, რომელიც მაინც ინარჩუნებს თავის ისტორიას და სილამაზეს. როგორც ჩანს, ოქონის გორიდან ჩამოსახლება დღევანდელ ტერიტორიაზე განაპირობა აბრეშუმის გზის სიახლოვემ. ოქონის გორა დარჩა ნაქალაქარის, ანუ ძველი ჩხარის სახელწოდებით.

აბრეშუმის გზაზე აღმოცენდა არაერთი ციხე-სიმაგრე-ქალაქი, აიგო მდინარეებზე ხიდები. დღეს ზოგი განახლებულია და ზოგის ბურჯები დღემდეა შემორჩენილი. ჩხარზე გამავალი **სახმელეთო-საქარავნო აბრეშუმის გზის** უფრო დიდი დატვირთვა გამოიწვია იმან, რომ რიონ-ყვირილის სამდინარო ტრანსპორტი არარენტაბელური გახდა. **აბრეშუმის სახმელეთო-საქარავნო გზის ინტენსიურმა ამოქმედებამ გამოიწვია ჩხარის ეკონომიური დაწინაურება.** ის ციხე-სიმაგრის ფუნქციასთან ერთად იძენს სავაჭრო-სახელოსნოს და ადმინისტრაციულ - კულტურულ ფუნქციასაც. ორი ჩხარის ტოპონიმი გარკვევით იკითხება ქართველი საეკლესიო და საზოგადო მოღვაწის ტიმოთე გაბაშვილის 1737 წლის რუკაზე. აქედან მომცრო ეკლესია არის ოქონის მაცხოვრის აღდგომის ეკლესია, ის დგას ს. ჩხარის სასაფლაოზე, ოქონის მთის ძირში, რომელიც ჩხარს დასავლეთით ესაზღვრება. შუა საუკუნეების ეკლესია აგებულია კარგად თლილი ქვით და რუხი ფერის ქვიშაქვის კვადრებით. აღმოსავლეთით ხუთწახნაგა აფსიდაა. სარკმელებს ამშვენებს გეომეტრიული ორნამენტების ჩუქურთმები. (ფოტო 7, 8)



ფოტო 7, 8 - ოქონის მაცხოვრის აღდგომის ეკლესია

რუკაზე აღნიშნული მეორე დიდი ეკლესია არის წმინდა გიორგი ეკლესია, რომელსაც აქვს სამრეკლო და გალავანი, მდებარეობს ოქონის სერის ძირში და მასზე მიწერილია: **„ქალაქი ჩხარი წმიდის გიორგის მონასტერი ახლად აშენებული მეფის ალექსანდრესაგან ქრისტეს აქეთ ჩღლზ (1737)“** სწორედ მის გალავანთან გადიოდა უძველესი სავაჭრო-საქარავნო გზის ერთ-ერთი განშტოება, ძველი „აბრეშუმის გზა“.

აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი, რომელიც ჩხარში იმყოფებოდა XX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში აღნიშნავდა: **„ეზოში, სადაც კლასიკური ეპოქის სამრეკლო დგას, დიდი ტაძარი მდგარა... ეტყობა ტაძარი იყო იმავე ეპოქისა, თუ უფრო ადრინდელი არა, რა ხნისაც ეს სამრეკლოა“** წმ. გიორგის ეკლესიის სამრეკლო ორსართულიანია, თუმცა თავზე ჰქონია „საზარე“, რომელიც არ იყო შემორჩენილი. რესტავრაციის მერე იგი შთამბეჭდავი სანახავია. მოპირკეთებულია სუფთად გათლილი ქვით. აღმოსავლეთის და დასავლეთის ფასადებს ამკობს რელიეფური ლომის გამოსახულებები. ტაძრის პორტალებს ლომის ქანდაკებები იცავდა. სარკმლები მოჩუქურთმებულია. ეს ეკლესიები  დღემდე მომქმედია.(ფოტო 9 - 14)

ფოტო 9 – 14 - წმ. გიორგის ეკლესია და სამრეკლოს ფასადების მორთულობები

ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს: **„არს აქა ეკლესია უგუნბათო, რომელსა შინა ასვენია**

ჯვარი დიდ ფრიად. მდებარეობს მას შინა ბეჭი მთავარმოწამისა გიორგისა. მარადის სასწაულთმოქმედი“. (ფოტო 15, 16) ფრანგი მოგზაური და ვაჭარი ჟაკ ფრანსუა გამბა, რომელიც 1820 წელს იმყოფებოდა ჩხარში, წერს: „ეკლესიის ინტერიერი მცირედ არის მორთული ხატებით და ყველაზე ღირსშესანიშნავი ფასეულობა აქ რვა ფუტის სიმაღლის მუხის ჯვარია.“ ჯვარი XX საუკუნის 20-იან წლებში ხელოვნების მუზეუმშია გადატანილი. მეორე საინტერესო ნივთი ჩხარის წმ. გიორგის ეკლესიისა არის მშვენიერი ნაქარგი გარდამოხსნა, დამზადებული 1661 წელს და შეწირული სადგერ-ჩხარის ჯვარს. მნიშვნელოვანია ასევე ჩხარული გულანი ზომით 41.5 / 29.5 სმ, მე-18 საუკუნის, რომელიც დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტში. (ფოტო 15, 16)

ფოტო 15, 16 - ჩხარის წმ. გიორგის ეკლესია, ჩხარის-სადგერის ჯვარი მე-16 ს., გარდამოხსნა

მრავალი საინტერესო არქეოლოგიური ექსპონატები და ნივთები ინახება ჩხარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ამდენად, ჩხარის წმიდა გიორგის ეკლესია თავისი სიწმინდეებით წარმოადგენდა საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რელიგიურ ცენტრს, სადაც მრავალი უმნიშვნელოვანესი ნივთი იყო დაცული, ხოლო ოქონის გორაზე აღმოჩენილ, მე-2 საუკუნის სამარხებში მოთავსებული ვერცხლის, რკინის, ბრინჯაოს ნივთები და რომაული მონეტები ერთ-ერთი დაწინაურებული ქალაქის არსებობაზე მიგვითითებს. საინტერესოა ვახუშტი ბაგრატიონის 1745 წლის რუკა, აქაც გარკვევით იკითხება ორი ჩხარი და „ჩხარის ქვეყანაში“ შემავალი სხვა სოფლებიც, რომელთაც ჩხარის მსგავსად „აბრეშუმის გზის“ ფუნქციის დაკნინების გამო დაკარგეს თავისი გარკვეული მაცოცხლებელი ფუნქციები. (ფოტო 17)

დღევანდელი ჩხარი არის ჩვეულებრივი ულამაზესი იმერული სოფელი მდიდარი წარსულით. ის აღარ წარმოადგენს ე. წ. „ჩხარის ქვეყნის“ ეკონომიკურ, კულტურულ, ადმინისტრაციულ ცენტრს. ამ ფუნქციის დაკარგვამ გამოიწვია მოსახლეობის მიგრაცია, გაჩნდა ათეულობით ნასახლარი.




ფოტო 17 - ფრაგმენტი ვახუშტი ბაგრატიონის იმერეთის რუკიდან (1745)

ჩხარში ბევრი მიტოვებული სახლი დგას, რომელთა პირველ სართულებზე ძველად გახსნილი იყო სხვადასხვა ტიპის სახელოსნოები, სავაჭროები, სამკერვალო, დუქნები, აფთიაქი და ა. შ., პარასკეობით იმართებოდა ბაზრობა, სადაც მილეთის ხალხი ჩამოდიოდა სხვადასხვა რეგიონებიდან აქაური ნაწარმის შესასყიდად. მხოლოდ უძველესი, ისტორიული მნიშვნელობის ჩხარის წყარო აგრძელებს დინებას „ორღარში“,რომელზეც ვახუშტი ბაგრატიონი წერდა: **„ჩხარს არს წყარო ორღარად წოდებული და ქებული“.** (ფოტო 18, 19)

ჩვენი სტატიის მიზანია მოიძებნოს ამ უძველესი დასახლების, ჩხარის აღორძინების და

განვითარების გზა და ჩვენ ვფიქრობთ, ეს გზა გადის ჩხარის მდიდარ წარსულზე და ისტორიულ მეხსიერებაზე.



ფოტო 18, 19 - ჩხარის უძველესი წყარო „ორღარი“

ეს ტერიტორია მრავალმხრივია ტურიზმის სხვადასხვა სახეობის განვითარებისათვის, როგორიცაა: ბუნებრივი ძეგლები და დაცული ტერიტორიები, ისტორიული ძეგლები, რელიგიური ტურიზმი, კულტურული ტურიზმი, საცხენოსნო ტურიზმი, სპელეოლოგია და ა. შ.

საინტერესო კვლევა ამ მიმართულებით ჩატარდა 2017 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, გეოსაინფორმაციო და ტურიზმის ტექნოლოგიების ცენტრის მიერ - **„თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტურსტულ-რეკრეაციული რესურსები“** (დიმიტრი ჯაფარიძე). უდიდესი შრომა გასწია ასევე ადგილობრივი წარმომავლობის მეცნიერმა, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა კობა ხარაძემ და 2008 წელს გამოსცა ენციკლობედია **„ჩხარი“**. ენციკლობედიაში თავმოყრილია ძირითადი ცნობები ჩხარის წარსულზე უძველესი პერიოდიდან მოყოლებული, რომელსაც მკვლევარი 30 წლის განმავლობაში აგროვებდა. ნაშრომი უნიკალურია და ბევრ საინტერესო მასალას შეიცავს. **ჩვენი სტატია მივმართეთ „ჩხარის ქვეყანაში“ მივიწყებული კულტურის - მეაბრეშუმეობის, ქართული აბრეშუმის აღორძინების და შესაბამისი ინფრასტრუქტურის ხელშეწყობის თემას.** ქვეყანაში უკვე გადაიდგა ამ დარგის აღორძინების მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები.

**მეაბრეშუმეობა თერჯოლის რაიონში** - როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აქტიური რგოლი იყო ლეგენდარული „აბრეშუმის

გზის“ ჩრდილოეთის მარშრუტისა. (ფოტო 20) ის უძველესი დროიდან იყო ჩართული ამ ფუნქციის შესრულებაში და თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით წარმოადგენდა ხიდს დასავლეთსა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის. სავაჭრო მაგისტრალებით ამიერკავკასიასა და საქართველოში ბიზანტიასა და ირანს შემოჰქონდათ: აბრეშუმის ქსოვილები, ხალიჩები, საფეიქრო ნაწარმი, ჩინეთიდან მაღალხარისხოვანი ჩინური აბრეშუმი. ერთ-ერთი პირველი ევროპელთაგანი, რომელმაც აბრეშუმის გზის გავლით ჩინეთს მიაღწია იყო ვენეციელი ვაჭარი და მოგზაური მარკო პოლო (1254-1324 წწ.), ის საქართველოზე წერდა: **„ქვეყანაში უამრავი სოფელი და ქალაქია. აქ უხვად მზადდება აბრეშუმის ქსოვილები და ისეთი ნაქსოვი აქვთ, რომლის მაგვარიც არსად მინახავს... აქ ყველაფერი დიდი რაოდენობითაა იმისთვის, რომ ვაჭრობა და მრეწველობა აყვავდეს. მთელი ქვეყანა სავსეა მაღალი მთებით და ვიწრო ბილიკებით, რაც მას ადვილად დასაცავს ხდის, ამიტომ მე შემიძლია დაგარწმუნოთ, თათრები ვერასროს მიაღწევენ იმას, რომ ქვეყანა სრულად დაიპყრონ.“** თუმცა, 1453 წ. ოსმალთა მიერ კონსტანტინეპოლის აღებამ, ამიერკავკასია დიდი ხნით მოსწყვიტა დასავლეთის სამყაროს, ხოლო აბრეშუმის გზის **საზღვაო** მაგისტრალის გახსნის შემდეგ მე-15 მე-16 საუკუნეებში აბრეშუმის **საქარავნო-სავაჭრო** გზამ შეწყვიტა არსებობა.

ფოტო 20 – „აბრეშუმის გზა“

საქართველომ აბრეშუმის წარმოების კულტურა შეისისხლხორცა და გაითავისა, რასაც ხელი შეუწყო იმანაც, რომ ე.წ. „აბრეშუმის ხის“ - თუთის ხის კულტურა ყოველთვის პოპულარული იყო ჩვენში. მას ხმარობდნენ სხვადასხვა დანიშნულებით: ნაყოფს სასმელის წარმოებაში და საკვებად, მერქანს სამშენებლოდ, სადურგლო და სახარატო საქმეში, დიზაინში და ა.შ. (ფოტო 21, 22, 23) დღემდეა შემორჩენილი ტოპონიმები აბრეშუმის კულტურის აქ არსებობისა. თვითონ სახელი **„თერჯოლა“**, იგივე „თეთრი ჟოლა“, „თეთრი ბჟოლა“, იკითხება ვახუშტი ბაგრატიონის 1745 წლის რუკაზეც. სულხან-საბა ორბელიანი თავის ლექსიკონში წერს: **„თუთა სხუათა ენაა. ქართულად ჟოლა ჰქვიან და ხართუთას - ტუტა“.** იმერეთში თუთას ახლაც „ბჟოლას“ ეძახიან, ხოლო თუთის ხეს აბრეშუმის ხეს, აბრეშუმი, ძველქართულად „ჭიჭნაური“, საქართველოში მე-6 საუკუნიდან დამკვიდრდა.

ფოტო 21, 22, 23 - აბრეშუმის ხის ნაყოფი - თეთრი ჟოლა, ბჟოლა. აბრეშუმის ჭია და აბრეშუმის პარკები

ფოტო 24, 25 - აბრეშუმის საწარმო და მეაბრეშუმეები

საბჭოთა პერიოდშიც გაგრძელდა საქართველოში აბრეშუმის კულტურის აქტიური წარმოება და ხელშეწყობა. ძალიან პოპულარული იყო „ქუთაისური აბრეშუმი“ და დიდი მოწონებით სარგებლობდა. გასული საუკუნის 60-იან წლებში საქართველოში

ყოველწლიურად 4-4.5 ათას ტონა აბრეშუმის პარკს აწარმოებდნენ და ამ დარგში ათასობით ოჯახი იყო ჩართული.

ამიერკავკასიის მეაბრეშუმეობის და აბრეშუმის მრეწველობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი 1930 წელს ჩამოყალიბდა. შეიქმნა ინფრასტრუქტურა, თითქმის ყველა სოფელში ხდებოდა თუთის ნამყენი ნერგების რგვა. აბრეშუმის ჭიის მოვლა ძალიან პოპულარული იყო მოსწავლე - ახალგაზრდობაშიც. ზაფხულის პერიოდში ისინი დიდი ხალისით ერთვებოდნენ ამ საქმიანობაში. ქართული აბრეშუმი პოპულარული გახდა ევროპაში. (ფოტო 26)

*სასოფლო გაზეთი, 1920 წლის 4 აპრილი, N5*

*საქართველოს პარკი საფრანგეთის ბაზარზე*

(საქართველოს დეპეშათა სააგენტოდან)

**მარსელი.** მარტის 9, 1920. მას შემდეგ, რაც "Messageries Maritimes და „Paquet" საზოგადოებების გემებმა დაიწყო მისვლა-მოსვლა მარსელსა და ბათუმს შორის, ლიონსა და მარსელის აბრეშუმის მქსოველთა მექარხნეები ელიან საქართველოდან მრავალი პარკის შემოტანას მარსელში.

მარსელის ბირჟაზე დაიწყეს საქართველოს პარკის კოტიროვკა, თითქმის ნორმალურია საქონლის უქონლობის გამო.

დღევანდელ ბირჟაზე საქართველოს მშრალი პარკის ფასმა ყოველივე რეკორდს გადააჭარბა.

**იძლეოდენ:** საქართველოს ყვითელ პარკისთვის: 88 ფრანკს ერთ კილოსთვის. საქართველოს თეთრი პარკისთვის: 80 ფრანკს ერთ კილოსთვის.

ფოტო 26 - საქართველოს აბრეშუმის პარკი საფრანგეთის ბაზარზე

სოფლის მეურნეობის ისტორიულად ჩამოყალიბებული დარგობრივი სტრუქტურიდან მეაბრეშუმეობის ჩამოცილებით გაუარესდა ეკონომიკური გარემო, შემცირდა ოჯახური ბიუჯეტის შემოსავლები და ძალიან შემცირდა დასაქმების დონე სოფლებში. 1964 წლიდან ქვეყანაში გავრცელდა თუთის ხის საშიში დაავადება - „ფოთლის სიხუჭუჭე" და მილიონობით თუთის ხე გაანადგურა. ამან ქვეყნის მნიშვნელოვანი დარგის - მეაბრეშუმეობის კვდომა გამოიწვია.

სამწუხაროდ, დღეს ქართული აბრეშუმის „თავგადასავლის“ მოსმენა მხოლოდ თბილისის აბრეშუმის მუზეუმშია შესაძლებელი. ტურისტებს ძლიერ იზიდავს ეს უნიკალური „აბრეშუმის მუზეუმი“ თბილისში, თავისი ისტორიით და უნიკალური ექსპონატებით. ის 1887 წლიდან ფუნქციონირებს. (ფოტო 27, 28)

„მეაბრეშუმეობის განვითარების ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, კარგი ბუნებრივი პირობები, აბრეშუმის წარმოების უძველესი ისტორია, პროდუქციის მაღალი ხარისხი, მსოფლიო გამოფენებზე მოპოვებული ჯილდოები, მცირემიწიანობა, თავისუფალი მუშახელის არსებობა, ინვესტიციების მოზიდვისთვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის. ამასთან, მოსახლეობაში ჯერ კიდევ არის შენარჩუნებული დარგისადმი დიდი სიყვარული, საკვები ბაზის დაჩქარებული აღორძინების შესაძლებლობა, მეცნიერული პოტენციალი, გამოცდილი პრაქტიკოსი მეაბრეშუმეები და დარგის აღდგენით დაინტერესებული ენთუზიასტები. ეს არის ჩვენი სასტარტო პირობები, რომლის გონივრულად გამოყენების შემთხვევაში დარგის გადარჩენა ჯერ კიდევ შეიძლება“.

ფოტო 27, 28 - აბრეშუმის მუზეუმი და აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა თბილისში (1883 წ.)

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და საქართველოს ინდურსტიული განვითარების ჯგუფის მიერ 2015 წლის აგვისტოში ჩატარდა აბრეშუმის წარმოების შესაძლებლობების და ბაზრის კვლევა, შედგა ბიზნეს მოდელი „აბრეშუმის სახლი“. შესავალში ვკითხულობთ: **„დოკუმენტი მოიცავს მეაბრეშუმეობის დარგის განვითარების მიმოხილვას, საერთაშორისო ბაზრის ანალიზს, დარგის სხვა ქვეყნებში სახელმწიფო მხარდაჭერის პრაქტიკის მიმოხილვას,**

**მეაბრეშუმეობის დარგის სტრუქტურის - ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზს და აბრეშუმის ხამი ძაფის ინდუსტრიულად წარმოების ბიზნეს მოდელს - „აბრეშუმის სახლი“.**

ასეთი მოდელის მაგალითად წარმოვადგინეთ სტუდენტური პროექტი - **„აბრეშუმის სახლი“.** (ფოტო 29, 30) (ავტორები: მედეა აბულაძე, ლადო გაი) წარმოდგენილი ნაგებობის ექსტერიერი მიმსგავსებულია მისი ფუნქციისათვის, იმეორებს აბრეშუმის ჭიის ფორმას. ნაგებობაში ფუნქციონირებს მცირე სასტუმრო და საკონფერენციო დარბაზი. წარმოება მიმდინარეობს ძაფის ამოხვევიდან პროდუქციის შექმნამდე. პარალელურად შეიქმნება კომპლექსი აბრეშუმის ჭიის წარმოებისათვის: სასელექციო, ძაფის ამოსახვევი საამქროები და სხვა განყოფილებები, სათავსები ჭიის გამოკვებისათვის, ფოთლის მოგროვება-დაბინავებისათვის და ა.შ., იმუშავებს ასევე სამოდელო-სამკერვალო განყოფილება, სადაც შეიქმნება აბრეშუმის ქსოვილის ნაწარმი, მოეწყობა ნაწარმის გამოფენა-რეკლამირება პოდიუმებზე. დასაქმდება დიდი რაოდენობის მოსახლეობა.




ფოტო 29, 30 - არქიტექტურული პროექტი „აბრეშუმის სახლი“

2015 წლის 15-16 ოქტომბერს ჩატარდა თბილისში „აბრეშუმის გზის ფორუმი“, მასში 30 ქვეყნის 1000–ზე მეტი წარმომადგენელი მონაწილეობდა, მათ შორის იყვნენ ჩინეთის მთავრობის ხელმძღვანელი პირები და 300–მდე მსხვილი ჩინური კომპანიის წარმომადგენლები. **„ახალი აბრეშუმის გზის კონცეფცია მთლიანად გარდაქმნის რეგიონს და ხელს შეუწყობს ეკონომიკურ წინსვლას. აბრეშუმის გზა შექმნის ბევრ**

**შესაძლებლობას და საქართველოს საერთაშორისო ვაჭრობის ცენტრად აქცევს. საქართველოს აქვს კარგი მდებარეობა, რაც ხელს შეუწყობს, შეასრულოს ეს როლი"**, - აღინიშნა ფორუმზე. **აბრეშუმის გზის ფორუმი, საერთაშორისო ბრენდად იქცა** და 2023 წლის 26 ოქტომბერს საქართველოში უკვე მეოთხედ ჩატარდა. გამომსვლელებმა ისაუბრეს „შუა დერეფნის“ განვითარებაზე, თანამშრომლობის და სხვადასხვა მიმართულებით პარტნიორობის აუცილებლობაზე, მათ შორის ტურიზმის განვითარების მნიშვნელობაზე. ჩვენი მოსაზრებით, ყველა პირობაა იმისათვის, რომ მეაბრეშუმეობის დარგი საქართველოში კვლავ მძლავრად დადგეს ფეხზე, ხოლო იმერეთის რეგიონში ისტორიული „აბრეშუმის გზის“ მარშრუტზე: **ქუთაისი-სიმონეთი-ძევრი-ჩხარი-სკანდე-ჩიხორი-ქვაციხე-კორბოული და სხვა მიმდებარე სოფლები: ალი (ალისუბანი)-თუზი-საზანო** და ა.შ., **აღორძინდეს მეაბრეშუმეობა,** გაჩნდეს შესაბამისი ინფრასტრუქტურული ობიექტები და აბრეშუმის ხის პლანტაციები, მოსახლეობა სიხარულით ჩაერთვება ამ პროექტში, რადგან გაუჩნდებათ დამატებითი შემოსავლები.




ფოტო 31 - აბრეშუმის გზის ფორუმი 2015 წელი, 2023 წელი

ასევე, **უნდა შედგეს „მეაბრეშუმეთა გზის“ გამართული ტურისტული მარშრუტი. დაინტერესებული ტურისტები გაიცნობენ „აბრეშუმის მუზეუმს“ თბილისში, ქუთაისში „აბრეშუმის სახლს“ და ბოტანიკურ ბაღს, სადაც იზრდება აბრეშუმის ხეები, მარშრუტს მიებმება ძველი „აბრეშუმის გზის“ და მიმდებარე სოფლები, შორაპნის ციხემდე.** მარშრუტი შეიძლება გაგრძელდეს დასავლეთითაც. მოგეხსენებათ, ფოთიდან სოფელ ორპირამდე დაცურავდნენ როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური სამდინარო გემები. ორპირი ფოთიდან მდ. რიონზე გემთმიმოსვლის საბოლოო

ნავმისადგომი იყო და უდიდეს სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა. 1859 წელს აქ გაიხსნა **„გოსშტრაზერის და კომპ.“** აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკა, რომელიც ჟურნალ „გუთნისდედას“ აზრით (1862, #2) ამიერკავკასიაში სანიმუშო სახელოსნოდ ითვლებოდა, ამუშავებდა უმეტესად იმერეთის, გურიის და სამეგრელოს აბრეშუმის პარკს და მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი დასავლეთ საქართველოში მეაბრეშუმეობის გავრცელებას. **„მეაბრეშუმეთა გზაზე“** მიმდებარე სოფლებში გაჩნდება თანმდევი ობიექტები: საოჯახო სასტუროები, სავაჭრო ობიექტები, ბაზრობები, კვების ობიექტები და ა. შ., რაც საგრძნობლად გააუმჯობესებს მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობას და ხელს შეუწყობს ადამიანების დაბრუნებას და სოფლების გაცოცხლებას.


## Abstract

The article discusses the active development of tourism in the ancient settlement of the Imereti region, the so-called "Chkhari Country". This name was given to villages spread over a fairly large territory, which were connected to the city of Chkhari by seven directions, one of which was the Imereti section of the "Silk Road": **Kutaisi-Simoneti-Dzevri-Chkhari-Skande-Chikhori-Kvatsikhe-Korbouli and other nearby villages: Ali (Alisubani)-Tuzi-Sazano** - these villages were important points, and the city of "Chkhari" was the center. We believe that the former "Chkhari Country" can become an interesting place for the development of various types of tourism, such as: natural monuments, protected areas, cultural tourism, historical monuments, religious tourism, equestrian tourism, speleology, etc. We are considering the possibility of developing **"silk tourism"** here.

## გამოყენებული ლიტერატურა:


- https://chxaristory.wordpress.com/about/ - ჩხარის ისტორია
- http://region.kvira.ge/39921/ - „ჩხარი-ქალაქი, რომელიც სოფლად იქცა, ან სოფელი, რომელიც ერთ დროს ქალაქი იყო“
- https://beri.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/12/therjolis-munitsipalitetis-turistul-rekreatsiuli-resursebi.pdf - თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები - დიმიტრი ჯაფარიძე
- https://beri.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/12/tqhibulis-munitsipalitetis-turistul-rekreatsiuli-resursebi.pdf - ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტურისტულრეკრეაციული რესურსები - დიმიტრი ჯაფარიძე
- https://istoriuli--dzeglebi.blogspot.com/p/180-400.html - ისტორიული ძეგლები (ჩხარის წმ.გიორგის ეკლესია)
- http://gnta.ge/conference/ - კონფერენცია „ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში“ – 2019 წლის 4 მაისი.
- https://kvirispalitra.ge/article/30079-thuthis-qtciriq/ - თუთის „ჭირი“, - რა შემთხვევაში აღდგება მეაბრეშუმეობა - 6 ივნისი 2016 წ.
- https://civil.ge/ka/archives/345755 - საქართველოს აბრეშუმი საფრანგეთში
- https://www.economy.ge/?page=news&nw=2378 - აბრეშუმის გზის ფორუმი 2023
- https://solaspress.wordpress.com/2015/05/10/%e1%83%90%e1%83%91%e1%83%a0%e1%83%94%e1%83%a8%e1%83%a3%e1%83%9b%e1%83%98%e1%83%a1-%e1%83%92%e1%83%96%e1%83%90-%e1%83%a1%e1%83%90%e1%83%a5%e1%83%90%e1%83%a0%e1%83%97%e1%83%95%e1%83%94%e1%83%9a - აბრეშუმის გზა, საქართველოს ჭრილში, 10 მაისი 2015 წ.
- https://www.economy.ge/uploads/gidg/Silk_Feasibility_Study_.pdf - ბიზნეს მოდელი „აბრეშუმის სახლი“- აგვისტო 2015 წ.
- **http://www.moesd.gov.ge/?page=news&nw=2378 - თბილისის აბრეშუმის გზის 2023 წლის ფორუმი წარმატებით ჩატარდა,** 27-10-2023 - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
- https://www.facebook.com/photo?fbid=8125844444111073&set=a.128127450549519 - ახალი დღე - „გაგიგონიათ ქალაქი ორპირი?“